ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №180

ქ. თბილისი **15 სექტემბერი 2015 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ფ/პ დათო ევგენიძე, მცხოვრები: ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №80, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №1720 განკარგულებისა და საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 მაისის №11-41 დადგენილების თანახმად- ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი" ჟიურის წევრის მიერ საკონკურსო ნამუშევრების შეფასების მომსახურების (ინდივიდუალურად ეცნობა, არჩევს, აფასებს და გამოავლენს კონკურსის ნომინაციებში წარმოდგენილ ნაწარმოებებს) სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისი" ჟიურის წევრის მიერ საკონკურსო ნამუშევრების შეფასების მომსახურება (ინდივიდუალურად ეცნობა, არჩევს, აფასებს და გამოავლენს კონკურსის ნომინაციებში წარმოდგენილ ნაწარმოებებს).
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 923 000 00; 923 122 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 მომსახურების ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2 000 (ორიათასი) ლარს (აქედან 400 ლარი საშემოსავლო გადასახადი 20%).

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მომსახურების ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თანამშრომლები.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 პროცენტის ოდენობით.

5.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
- გამოავლინოს ერთი გამარჯვებული თითოეულ ნომინაციაში.
- ინდივიდუალურად გაეცნოს, შეარჩიოს, შეაფასოს და გამოავლინოს კონკურსის ნომინაციებში წარმოდგენილი ნაწარმოებები. საკონკურსო ნამუშევრების შეფასებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: პროფესიონალიზმი, ნაწარმოების ესთეტიკური მხარე, დარგის ტენდენციების, ფორმებისა და ხერხების ფლობა, თემის აქტუალურობა, თბილისისათვის საინტერესო და აქტუალური თემების წამოწევა, ახალი და ინოვაციური აზროვნება;
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- კეთილსინდისიერად მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, ობიექტურად, მიანიჭოს უპირატესობა საკონკურსოდ წარმოდგენილ ნამუშევარს. ასევე, ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ოფიციალურ გამოცხადებამდე არ გაახმაუროს კონკურსის შედეგები;
- არაუგვიანეს სექტემბრის ბოლო პარასკევს დაასრულოს ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოვლენა;
- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „შემსყიდველს” ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 პროცენტის ოდენობით.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

6.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გამოსვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3 თუ შემსყიდველი/მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს/მიმწოდებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს შემსყიდველს/მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.6 მხარეები ადასტურებენ რომ წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენება წარმოადგენს მხარების უფლებას და არა ვალდებულებას.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9..2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
9.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის

დადგენა – ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან ანხორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის განათლების და კულტურის კომისიის თანამშრომლები.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა“ მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სს „ლიბერთი ბანკის“ ცენტრ/ფილ.
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162 7000
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

ფ/პ დათო ევგენიძე
მის: ქ.თბილისი, ბურძგლას ქ. №80
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 51 TB 7854 6365 1250 0003
პ/ნ 0102 4014 402

დათო ევგენიძე